საინფორმაციო ბიულეტინი

ადვოკატირება



1995 წელს, საქართველო შეუერთდა პეკინის სამოქმედო პლატფორმას. 2019 წლის აპრილის თვეში საქართველოს მთავრობამ წარადგინა პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის +25 ყოვლისმომცველი ეროვნული დონის მიმოხილვა, რაც ცხადყოფს გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის პოზიტიური ცვლილებების ტენდენციას ქვეყანაში.

2019 წელს ასოციაცია **"ჰერა XXI" ინიციატივით, კოალიცია „რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების" ფარგლებში, შემუშავდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ალტერნატიული ანგარიში,** სადაც აღნიშნულია პოზიტიური ტენდენცია, მაგრამ ამავე დროს ხაზგასმულია ჩვენს ქვეყანაში და საზოგადოებაში არსებული, ჯერ კიდევ რეალური გამოწვევები ქალთა უფლებების რეალიზაციის

კუთხით. ასოციაცია „ჰერა XXI” 20 წელზე მეტია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე და აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო დონის საადვოკაციო პროცესებში.

სწორედ ამიტომ, ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო ბეიჯინგ +25-ის რეგიონალური კონსულტაციის სამიტში, სადაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების არასამთავრობო და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება გაუზიარეს. მონაწილეებმა, ასევე, ისაუბრეს იმ პრობლემების შესახებ, რომელთა წინაშე ქალები და გოგონები ისევ დგანან.

თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმართველობებთან

ასოციაცია „ჰერა XXI”-ს გასვლითი შეხვედრები ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან

ასოციაცია „ჰერა XXI”-ის ერთ-ერთ პრიორიტეტს ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება და განვითარებაა. ასოციაცია „ჰერა XXI” სისტემატურად მუშაობს თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, იქ არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და ქალთა ოთახებთან, იმისთვის რომ ამ სტრუქტურებს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებებისა და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში გაწერილი საკითხების მუნიციპალიტეტის გეგმებსა და სტრატეგიაში ინტეგრირებას ხელი შეუწყოს.

ამ მიზნით, ასოციაცია “ჰერა XXI”, 2019 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში აგრძელებდა აქტიურ მუშაობას მარნეულის, ხობისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოს წევრებთან, ქალთა ოთახის წარმომადგენლებსა და საქალაქო სამსახურების თანამშრომლებთან. შეხვედრების ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში ასახული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები. შეხვედრების მიზანი იყო ადგილობრივი ხელისუფლების, მათ შორის გენდერული საბჭოებისა და ქალთა ოთახის როლის გაძლიერება აღნიშნული საკითხების შესრულებასა და მონიტორინგში. მხარეებმა ასევე განიხილეს თვითმმართველობების წინაშე არსებული გამოწვევები და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები.

სემინარი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების, გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების შესახებ ქვემო ქართლის ადგილობრივი თვითმართველობების წარმომადგენლებისათვის

ივლისის თვეში, ქვემო ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ასოციაცია „ჰერა XXI"-მ ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისათვის გამართა სემინარი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების, ასევე გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების შესახებ. სემინარის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების, ქალთა ოთახებისა და შესაბამისი სამსახურების საჭიროებების კვლევა და აღნიშნულ თემებზე ინფორმაციის მიწოდება, რათა მათ უკეთ შეძლონ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების ინტეგრირება თვითმმართველობების საქმიანობაში და ეფექტურად უპასუხონ ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრები ქალების საჭიროებებს.

სემინარში მონაწილეობა მიიღო ქვემო ქართლის ადგილობრივი თვითმმართველობების - მარნეულის, ბოლნისის, წალკის, გარდაბნის, რუსთავის, თეთრიწყაროსა და დმანისის მუნიციპალიტეტების და ქვემო ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა.

ახალგაზრდები

საზაფხულო ბანაკი გოგონებისთვის – SELF CAMP

ასოციაცია „ჰერა XXI"-ს ხედვისა და მისიის მიხედვით, ახალგაზრდებს, განსაკუთრებით გოგონებს უნდა ჰქონდეთ ისეთი გარემო, სადაც ისინი შეძლებენ მიიღონ სწორი, ასაკზე მორგებული ინფორმაცია და შეძლონ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება. სწორედ ამიტომ, აგვისტოს თვეში ასოციაციამ, მშვიდობის კორპუსთან თანამშრომლობით ჩაატარა საზაფხულო ბანაკი გოგონებისთვის.

ბანაკი შემუშავებულია ყოვლისმომცველი და ასაკზე მორგებული მოდულის მიხედვით, რომელიც მოიცავს როგორც, თემატურ, საგანმანათლებლო სესიებს, ასევე სპორტულ და გამაჯანსაღებელ აქტივობებს. ბანაკის ჩასატარებლად ასოციაციამ მიმართა ორგანიზაციის ბაზაზე არსებულ ახალგაზრდულ რესურსს და გადაამზადა

თანასწორგანმანათლებლები, რომლებიც თანატოლებს ეფექტურად მიაწოდებენ ინფორმაციას და ცოდნას.

ბანაკის მიზნად ისახავდა გოგონების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, მათთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას და გოგონების თვითშეფასების ამაღლებას.ღონისძიებაზე მიმდინარე დისკუსიების შედეგად, გოგონებმა მიიღეს ის ინფორმაცია და ცოდნა, რომელიც აუცილებელია მათი ჯანსაღი განვითარებისთვის. მსგავსი გარემო ხელს უწყობს გოგონებს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებაში და თვითშეფასების ამაღლებაში.

კამპანიები

ახალგაზრდების საერთაშორისო დღე

ასოციაცია მხარს უჭერს ახალგაზრდების და მოხალისეების ინიციატივებს და ხელს უწყობს მათ ინოვაციური კამპანიებისა და ღონისძიებების ჩატარებაში. ასოციაციის ახალგაზრდული საქმიანობის ფარგლებში, ხობისა და ახალციხის ახალგაზრდულმა ჯგუფებმა, **ახალგაზრდების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით,** ჩაატარეს კამპანიები, გზავნილით ***„ჯანსაღი თაობა-ჯანსაღი მომავლისთვის“.***

მსგავსი ღონისძიება ემსახურება ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას და მათი ინფორმირებულობის გაზრდას რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, ახალგაზრდების საჭიროებების ადვოკატირებას ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და თვითმმართველობებთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

კამპანია რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვირეულთან დაკავშირებით

23-28 ოქტომბერს რეპროდუქციული კვირეულია, რომელის კონტრაცეფციის მსოფლიო დღესა და უსაფრთხო აბორტის საერთაშორისო დღეს აერთიანებს. კვირეულს ასოციაცია „ჰერა XXI" ონლაინ კამპანიით შეუერთდა, მესიჯებით ***„კონტრაცეფციაზე წვდომა ფინანსური ბარიერების გარეშე!" „უსაფრთხო აბორტის სერვისზე ხელმისაწვდომობა ქალის უფლებაა!" უსაფრთხო აბორტის სერვისზე ხელმისაწვდომობა ფინანსური, მორალური და ინფორმაციული ბარიერების გარეშე!"*** კამპანია თანამედროვე, ციფრული მეთოდებით ჩატარდა, რამაც საშუალება მოგვცა მცირე რესურსის გამოყენებით ფართო აუდიტორიისთვის მიგვეტანა მნიშვნელოვანი მესიჯები.

პროფესიულ ჯგუფებთან მუშაობა

ასოციაცია „ჰერა XXI"-ს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ასპექტს სრჯ საკითხების შესახებ ინფორმაციასა და კეთილგანწყობილი სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებაში არებული მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომელთაც ფინანსური თუ

სხვა სახის ბარიერების, გავრცელებული სტიგმისა და სტერეოტიპების გამო სრჯ სერვისებზე წვდომის დიდი პრობლემა აქვთ.

სწორედ ამიტომ, 2019 წლის მაისში, ასოციაცია „ჰერა XXI”-ის ორგანიზებითა და ინიციატივით ჩატარდა ტრენინგი სოციალური მუშაკებისთვის. ტრენინგში მონაწილეობას სოციალური მომსახურების სააგენტოს, პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური მუშაკები იღებდნენ.

გადამზადებულმა სოციალურმა მუშაკებმა, 2019 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში ჩაატარეს ქუთაისსა და თბილისში ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები, სადაც მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს ესაუბრნენ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. საინფორმაციო შეხვედრების მიზანი ახალგაზრდებსა და სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა იყო.

ტრენინგი სოფლის ექიმებისთვის

ტრენინგი სოფლის ექიმებისთვის

იმისათვის რომ პირველადი ჯანდაცვის რგოლი გაძლიერდეს და მასში უკეთ იყოს ინტეგრირებული სრჯ სერვისები 2019 წლის მესამე კვარტალში, ასოციაცია „ჰერა XXI”-ს ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი ქვემო ქართლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედი სოფლის ექიმებისთვის. ტრენინგი ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურთათ და ქვემო ქართლში სოფლის ექიმის პროგრამის კოორდინატორთან თანამშრომლობით გაიმართა.

ტრენინგი მიზნად ისახავდა სოფლის ექიმების უნარებისა და ცოდნის გაღრმავებას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებში. შედეგად, ქვემო ქართლის მოსახლეობას ექნება საშუალება მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია და სერვისები გადამზადებული ექიმებისგან. გარდა ამისა, ტრენინგზე განხილული იყო ეროვნული გაიდლაინებში ინტეგრირებული ოჯახის დაგეგმვისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციის თანამედროვე ტექნოლოგიები.

სოფლის ექიმების ცოდნისა და ინფორმაციის დონის ამაღლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ექიმებმა შეძლონ სოფლად მცხოვრებ ქალებს მიაწოდონ კომპეტენტური ინფორმაცია და ხარისხიანი სერვისი, რაც თავის მხრივ დაეხმარება ქალს თავიდან აიცილოს არასასურველი/დაუგეგმავი ორსულობა, ისარგებლოს კონტრაცეფციის თანამეროვე მეთოდებით და დაგეგმოს შვილების სასურველი რაოდენობა.

მედია ჩვენზე

2019 წლის მესამე კვარტალის განმავლობაში, ასოციაცია „ჰერა XXI” აქტიურად მუშაობა ადგილობრივი თვითმართველობების წარმომადგენლებთან. ასოციაციის შეხვედრებს აქტიურად აშუქებდა რეგიონალური ტელევიზია.

10 აგვისტოს, სალომე იობაძემ, ასოციაცია „ჰერა XXI”-ს პროგრამების კოორდინატორმა რიონის ტელევიზიის ეთერში ისაუბრა მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ცატარებული შეხვედრის დეტალებზე.



საინფორმაციო ბიულეტინი მომზადებულია
ასოციაცია „ჰერა XXI”-მიერ

ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერს www.hera-youth.ge ან
გვესტუმრეთ ფეისბუქზე ASSOCIATIONHERAXXXI

და გაიგეთ მეტი ჩვენი საქმიანობის შესახებ